

შპს ჯორჯიან ბაზალტი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022
წლის 31 დეკემბერს

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	3	1,537,025	1,960,879
ძირითადი საშუალებები		14,303	17,494
არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,551,328	1,978,373
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	643,147	709,897
სავაჭრო მოთხოვნები		250,432	292,788
საგადასახადო აქტივები		26,203	17,438
ფული და ფულის ექვივალენტები		72,656	128,050
სულ მიმდინარე აქტივები		992,438	1,148,173
სულ აქტივები		2,543,766	3,126,546
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,499,420	2,913,420
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		(45,478)	117,788
სულ კაპიტალი		2,453,942	3,031,208
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები		89,824	95,338
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		89,824	95,338
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,543,766	3,126,546

შპს ჯორჯიან ბაზალტი
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ლარში 000'	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	2,368,400	2,983,700
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(1,824,832)	(1,855,355)
მთლიანი მოგება		543,568	1,128,345
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	(225,536)	(449,154)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(424,420)	(326,014)
სხვა შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა		54,266	(8,078)
საოპერაციო მოგება		(52,122)	345,099
ფინანსური შემოსავალი		1,616	5,289
ფინანსური ხარჯები		(12,761)	(4,710)
(ზარალი)/მოგება გადასახადების გადახდამდე		(63,267)	345,678
მოგების გადასახადი		-	-
წლიური (ზარალი)/მოგება		(63,267)	345,678

შპს ჯორჯიან ბაზალტი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ლარში 000'	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2021 წელი	3,563,420	112,109	3,675,529
წლის სრული მოგება (ზარალი)	-	345,679	345,679
გამოცხადებული დივიდენდები	-	(340,000)	(340,000)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(650,000)	-	(650,000)
31 დეკემბერი, 2021 წელი	2,913,420	117,788	3,031,208
წლის სრული (ზარალი)/ მოგება	-	(63,267)	(63,267)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(99,999)	(99,999)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(414,000)	-	(414,000)
31 დეკემბერი, 2022 წელი	2,499,420	(45,478)	2,453,942

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ლარში 000'	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,988,208	3,604,606
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		(1,569,134)	(1,691,810)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(473,214)	(324,087)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები			
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		945,860	1,588,709
გადახდილი პროცენტი		(12,661)	(4,614)
გადახდილი გადასახადები		(473,692)	(524,436)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა		459,507	1,059,659
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		1,163	3,329
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(2,064)	(7,046)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა		(901)	(3,717)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		127,500	-
კაპიტალის განაწილება მფლობელზე დივიდენდის გარდა		(414,000)	(650,000)
აღებული სესხების დაფარვა		(127,501)	-
გადახდილი დივიდენდი		(99,999)	(340,000)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		(514,000)	(990,000)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		128,050	62,108
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		72,656	128,050

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან ბაზალტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 405233732. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ინერტული მასალების მოპოვება და დამუშავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია : თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18.

2. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. თითოეული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
შენობები	10 წელი
მანქანა-დანადგარები	5-დან 20 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-დან 7 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 20 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნად ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს გაწეულ ხარჯებს მარაგების ყიდვისას და მათი ადგილზე მიტანისას. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

ქართულ ერთეულ ლარში	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2021	82,000	611,983	1,609,613	141,242	1,590,497	4,035,335
დამატება	-	-	2,712	1,523	2,322	6,557
რეალიზაცია	-	(31,800)	-	-	(164,951)	(196,751)
31 დეკემბერი 2021	82,000	580,183	1,612,325	142,765	1,427,868	3,845,141
დამატება	-	-	-	1,614	-	1,614
31 დეკემბერი 2022	82,000	580,183	1,612,325	144,379	1,427,868	3,846,755
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021	-	(143,248)	(644,186)	(33,688)	(748,407)	(1,569,529)
ცვეთის ხარჯი	-	(47,799)	(208,828)	(14,671)	(170,980)	(442,278)
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	23,046	-	-	104,499	127,545
31 დეკემბერი 2021	-	(168,001)	(853,014)	(48,359)	(814,888)	(1,884,262)
ცვეთის ხარჯი	-	(43,680)	(203,638)	(15,198)	(162,952)	(425,468)
31 დეკემბერი 2022	-	(211,681)	(1,056,652)	(63,557)	(977,840)	(2,309,730)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	82,000	412,182	759,311	94,406	612,980	1,960,879
31 დეკემბერი 2022	82,000	368,502	555,673	80,822	450,028	1,537,025

შპს ჯორჯიან ბაზალტი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

4. მარაგები

ქართულ ლარში 000'	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სათადარიგო ნაწილები და სახარჯო მასალები	318,837	357,970
ღორღი	318,788	351,144
სხვა მცირეფასიანი მარაგები	5,522	783
სულ მარაგები	643,147	709,897

5. შემოსავალი

ქართულ ლარში 000'	2022	2021
შემოსავალი ღორღის რეალიზაციიდან	1,809,800	2,473,866
შემოსავალი გადასაყიდად შეძენილი ღორღის რეალიზაციიდან	558,600	509,834
სულ შემოსავალი	2,368,400	2,983,700

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ქართულ ლარში 000'	2022	2021
შემდგომი გაყიდვისთვის შეძენილი ღორღის ღირებულება	(551,609)	(504,917)
ტრანსპორტირებისა და ავტომატური ხარჯები	(370,679)	(313,119)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	(360,131)	(421,820)
თანამშრომელთა ხელფასები	(279,448)	(298,847)
კომუნალური ხარჯები	(119,833)	(141,581)
უსაფრთხოების ხარჯები	(54,939)	(59,067)
მასალები და სახარჯო მასალები	(47,500)	(59,722)
მინერალურ რესურსებზე გადასახადის ხარჯი	(25,853)	(30,574)
დაზღვევის ხარჯი	(7,890)	(8,928)
ძირითადი საშუალებების საოპერაციო იჯარა	(3,003)	(6,362)
სარემონტო და ტექნიკური სამუშაოების ხარჯი	(2,180)	(8,564)
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	(1,767)	(1,854)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,824,832)	(1,855,355)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ქართულ ლარში 000'	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასები	(313,494)	(220,531)
ინფორმაციის, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	(6,920)	(4,962)
გადასახადები, გარდა საშემოსავლო გადასახადისა	(4,303)	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	(68,397)	(73,244)
ტრანსპორტირებისა და ავტომაქსების ხარჯები	(19,136)	(12,220)
კომუნალური ხარჯები	(7,458)	(7,669)
დაზღვევის ხარჯი	(3,812)	(3,255)
სხვა ხარჯები	(900)	(4,133)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(424,420)	(326,014)

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

XX სექტემბერი, 2023

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

